ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №325730

ნომერი: AR175644

თარიღი : 23.08.2012

გაცემის თარიღი : 27.08.2012

გაცნობის თარიღი : 24.09.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ღვინის აღმართისა და დუტუ მეგრელის ქუჩების გადაკვეთაზე, (ნაკვეთი N90/22) / ქალაქი თბილისი , რიყის ტერიტორია , აღმართი ღვინის და დუტუ მეგრელის ქუჩების გადაკვეთაზე, ნაკვეთი 90/027 / ქალაქი თბილისი , ღვინის აღმართისა და დუტუ მეგრელის ქუჩების გადაკვეთაზე, ნაკვეთი 90/028 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ომარ ჯანჯღავა პ/ნ 01017001635
- ქიაჩელის 5/7

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს "PEK" კოდი: 404902584

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

I კლასის – არსებული შენობის ფასადის მხარეს შესასვლელი კარის გადაადგილებისა და უკანა ფასადზე არსებული ფანჯრის კარად გადაკეთების (იგივე მასალის გამოყენებით) სამუშაოების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში (სექტორი - ისანი), ღვინის აღმართისა და დუტუ მეგრელის ქუჩების გადაკვეთაზე (ნაკვ. N90/22), რიყის ტერიტორია, ღვინის აღმართისა და დუტუ მეგრელის ქუჩების გადაკვეთაზე (ნაკვ. N90/027) ღვინის აღმართისა და დუტუ მეგრელის ქუჩების გადაკვეთაზე (ნაკვ. N90/028) არსებული შენობის ფასადის მხარეს შესასვლელი კარის გადაადგილებისა და უკანა ფასადზე არსებული ფანჯრის კარად გადაკეთების (იგივე მასალის გამოყენებით) სამუშაოების განხორციელებას.

თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.

''მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების თანახმად, სამსახურმა შეამოწმა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (შ.პ.ს. "P.E.K"–ის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა; რეგისტრაციის N882012133849, 29.03.2012 წ. საკადასტრო კოდი N01.17.01.090.030; არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა, საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში (სექტორი - ისანი), ღვინის აღმართისა და დუტუ მეგრელის ქუჩების გადაკვეთაზე (ნაკვ. N90/22), რიყის ტერიტორია, ღვინის აღმართისა და დუტუ მეგრელის ქუჩების გადაკვეთაზე (ნაკვ. N90/027) ღვინის აღმართისა და დუტუ მეგრელის ქუჩების გადაკვეთაზე (ნაკვ. N90/028) არსებული შენობის ფასადის მხარეს შესასვლელი კარის გადაადგილებისა და უკანა ფასადზე არსებული ფანჯრის კარად გადაკეთების (იგივე მასალის გამოყენებით) სამუშოების განხორციელების შესაძლებლობას.

სამუშაოების დაწყებამდე აღნიშნული შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის მესაკუთრესთან.

გაითვალისწინეთ, რომ თუ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა-ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიპოვოთ შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge